



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 16 ნოემბერი, 2018 წელი

დრო: 14:30 -17:30

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „ციტადინი“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
3. ირმა ჭარაქაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
4. ცოტნე ჯამბურია - საზოგადოებრივი დამცველი
5. გიორგი თევზაძე - ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
6. ალექო ცქიტიშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი
7. მამუკა ყუფარაძე - სტუდია „რე“
8. კახა მიქაძე - წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის საერთაშორისო ცენტრი „ემპათია“
9. ქეთევან ჩაჩავა - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
10. სალომე შუბითიძე - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
11. დავით შატაკიშვილი - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
12. წოვინარ ნაზაროვა - ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
13. გოგიტა ღვედაშვილი - საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი
14. დავით თოთაძე - ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი
15. მარი ალუღიშვილი - საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი
16. ქეთევან კურცხალია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
17. ლია ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
18. ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
19. - თავისუფალი მედია სივრცე.

განსახილველი საკითხები:

1. სამოქალაქო საზოგადოების ყოველწლიური რიგით მე-10 შეხვედრა
2. საპრეზიდენტო არჩევნები და წინასაარჩევნო გარემო
3. სექტორალური შეხვედრების ფორმატის განახლება
4. I სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის დამტკიცება
5. კვლევა „წყალში დახრჩობის პრევენცია“
6. სხვა საკითხები

პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა, ჯგუფის კოორდინატორმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და შეხვედრის ჩატარების მიმართულება განსაზღვრა.

პირველ საკითხად ბატონმა ლაშა ტულუშმა ისაუბრა იმ კვლევაზე, რომელიც ეხება „წყალში დახრჩობის პრევენციას“ და აღნიშნა რომ ამ საკითხზე აუცილებლად უნდა მოხდეს სექტორალური შეხვედრის დაგეგმვა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. კვლევაზე დაწერილებით ისაუბრა, კვლევის თანაავტორმა, ალექო ცქიტიშვილმა. მან დეტალურად აღწერა კვლევაში არსებული მიდგომები და პრიორიტეტები, რომლებიც მოახდენს უბედური შემთხვევების პრევენციას. მან ასევე ყურადღება გაამახვილა იმ საკანონმდებლო ჩავარდნებზე, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს კანონმდებლობაში. კვლევაში ასევე საუბარია ევროპული ქვეყნების გამოცდილებაზე, თუ როგორ ებრძვიან ისინი წყალში დახრჩობის პრობლემებს, როგორ ცდილობენ შექმნან უსაფრთხო გარემო აღნიშნული მიმართულებით, ასევე გაწერილია ის რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარება ხელისუფლებას აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში. ალექო ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება ამ კვლევის პრეზენტაცია საზოგადოებისთვის და ასევე მზადდება მიმართვა და მნიშვნელოვანი იქნება თუ პლატფორმა შეუერთდება ამ მიმართვას.

ეროვნულმა კოორდინატორმა ისაუბრა სექტორალური შეხვედრების ფორმატის განახლებაზე. მან აღნიშნა, რომ ეს ფორმატი არის უნიკალური მექანიზმი, რომელიც აქტიურად უნდა გამოვიყენოთ, ამიტომ სთხოვა დამსწრე ორგანიზაციების წარმომადგენლებს გამოაგზავნონ

თავიანთი წინადადებები იმ საკითხებზე ან მიმართულებებზე, რომელიც მათთვის მნიშვნელოვანია, რათა დროულად მოხდეს სექტორალური შეხვედრებისთვის მომზადება.

პირველი სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა პირდაპირ არის დაკავშირებული 2020 ის მიმართულებებთან რომელიც შედის პირველი ჯგუფის კომპეტენციაში. სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია უკვე არსებობს და დაეგზავნებათ პირველი სამუშაო ჯგუფის წევრებს.

ეროვნულმა კოორდინატორმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა, დეტალური ინფორმაცია მიაწოდა შეხვედრაზე მოსულ ორგანიზაციების წარმომადგენლებს სამოქალაქო საზოგადოების ყოველწლიური რიგით მე-10 ფორუმის ჩატარების ტექნიკურ დეტალებზე, რომელიც საქართველოში გაიმართება. ამ მიმართულებით უამრავი გამოწვევებია და მან იმედი გამოთქვა, რომ საქართველო ღირსეულად უმასპინძლებს ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას, რომელიც ძალიან წარმომადგენლობითი იქნება.

ჯგუფის კოორდინატორმა პირველი სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდება საარჩევნო ქვეჯგუფის ფუნქციონირებას. პლატფორმა უნდა იყოს თავისუფალი ყველანაირი პოლიტიკური გავლენისგან. ამ ფაქტიდან გამომდინარე საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არჩევნების პერიოდში, საარჩევნო ქვეჯგუფის ხელმძღვანელი იქნება პლატფორმის თავმჯდომარე. ამ გადაწყვეტილებას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, რადგან საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე არჩეულია საერთო კრებაზე ხმების უმრავლესობით და მის მიმართ პლატფორმის წევრებს აქვთ გამოხატული მხარდაჭერა.

ეროვნულმა კოორდინატორმა მიმოიხილა წინასაარჩევნო გარემო და განაცხადა რომ ის გარემო რომელიც დღეს არის შექმნილი ვნებს მთელ საზოგადოებას, რადგან პოლიტიკური პარტიების მიერ გამოყენებული სიძულვილის ენა ქმნის საზოგადოებაში დაპირისპირებული ჯგუფებს. ამიტომ მას მნიშვნელოვნად მიაჩნია პლატფორმის საარჩევნო ქვეჯგუფმა იმუშაოს ეთიკის ნორმებისა და სტანდარტების შემუშავებაზე.

ქალბატონმა ლია ნადარაიამ განაცხადა, რომ მისმა ორგანიზაციამ პირველმა დაიწყო არჩევნების გენდერული მონიტორინგი. მან განაცხადა რომ საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა არჩევნები, სადაც გენდერულ დისკრიმინაციას და უთანასწორობას ადგილი არ ქონია. არჩევნებზე ყველა მიმართულებით ხდება უთანასწორობა გენდერულ ქრილში, თუმცა ეს ტენდენცია შენარჩუნებულია მთელ მსოფლიოში.

საპრეზიდენტო არჩევნების მნიშვნელობაზე და წინასაარჩევნო პროცესებზე ისაუბრა ჯგუფის კოორდინატორმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა. მან განაცხადა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს შენების გზაზე საზოგადოების განვითარებასთან ერთად უნდა ვითარდებოდნენ პოლიტიკური პარტიებიც და უნდა იცვლებოდეს მათი ქცევები, წინასაარჩევნო კამპანიაში ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს საარჩევნო პროგრამებზე, პარტიების თუ კანდიდატების შეხედულებებზე კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია პლატფორმამ შეიმუშაო განცხადება რომელშიც ყურადღება გამახვილებული იქნება პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო აქტივობებზე. და რომელშიც მოუწოდებს კანდიდატებსა და პარტიებს წარმოადგინონ ის პროგრამა , რომლითაც სურთ რომ მოიგონ არჩევნები. ასევე მედია საშუალებებმა უნდა უზრუნველყონ დისკუსიების გამართვა საარჩევნო პროგრამების შესახებ . იმ ფაქტიდან გამომდინარე რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე დარჩენილია ძალიან ცოტა დრო, პირველი სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება რომ აღნიშნული განცხადების მომზადება და გავრცელება უფრო ეფექტური და შედეგიანი იქნება არჩევნების დასრულების შემდეგ.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე